

განმარტებები

შენიშვნა: ეს განმარტებები მიღებულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის (რეზოლუციები WHA20.19 და WHA43.24) მიერ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის 23-ე სტატიის თანახმად.

1. სიკვდილის მიზეზები

სიკვდილის მიზეზები, რომლებიც შედიან სამედიცინო დასკვნაში, არის ყველა ის დაავადება, სასიკვდილო პირობა და დაზიანება, რომელსაც მივყავართ სიკვდილამდე ან ხელს უწყობენ მას, და უბელური შემთხვევის და ძალადობის გარემოებები, რომლებსაც მივყავართ ნებისმიერ ასეთი სახის დაზიანებამდე

2. სიკვდილის ძირითადი მიზეზი

სიკვდილის ძირითადი მიზეზი არის (ა) დაავადება, ან დაზიანება, რომელიც იწვევს მოვლენათა ჯაჭვს, რასაც მივყავართ პირდაპირ სიკვდილამდე, ან (ბ) უბელური შემთხვევების და ძალადობის გარემოებები, რომლებიც იწვევენ სასიკვდილო დაზიანებას.

3. განმარტებები, რომლებიც ეხება ნაყოფის, პერინატალურ, ნეონატალურ და ჩვილი ბავშვების სიკვდილიანობას

3.1. ცოცხლად შობა

ცოცხლად შობა არის ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევება ან ხელოვნურად გამოყვანა დედის ორგანიზმიდან, მიუხედავად ორსულობის ხანგრძლივობისა, რომელიც ასეთი განცალკევების შემდეგ სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის რაიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჰიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების გარკვეული მოძრაობა, მიუხედავად იმისა, ჰიპლარი გადაკვეთილია თუ არა ან პლაცენტა მიმაგრებულია თუ არა; ყოველი ასეთი პროდუქტი მიჩნეულია ცოცხალშობილად.

3.2. ნაყოფის სიკვდილი [მკვდრადშობილი ნაყოფი]

ნაყოფის სიკვდილი არის სიკვდილი, რომელიც წინ უსწრებს ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევებას ან გამოყვანას დედის ორგანიზმიდან, მიუხედავად ორსულობის ხანგრძლივობისა; სიკვდილი დასტურდება იმ ფაქტით, რომ ასეთი განცალკევების შემდეგ ნაყოფი არ სუნთქავს ან არ ავლენს სიცოცხლის რაიმე სხვა ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჰიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების გარკვეული მოძრაობა.

3.3 დაბადების წონა

პირველი წონა ნაყოფის ან ახალშობილის, გამოძილი დაბადების შემდეგ.

3.4 მცირე შობის ახალშობილები

2500გ-ზე ნაკლები (2500გ-მდე და მოიცავს 1499გ.)

3.6 უკიდურესად მცირე წონის ახალშობილები

1000გ-ზე ნაკლები (1000გ-მდე და მოიცავს 999გ.)

3.7 ორსულობის ვადა

ორსულობის ხანგრძლივობა იმომება უკანასკნელი ნორმალური მენსტრუალური პერიოდის პირველი დღიდან. ორსულობის ვადა გამოიხატება სრული დღეებით ან სრული კვირეებით (ე.ი. მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ 280-დან 286 სრულ დღემდე უკანასკნელი ნორმალური მენსტრუალური პერიოდის დადგომიდან და მიჩნეულია ორსულობის პერიოდის 40 კვირად)

3.8 ნაადრევი მშობიარობა

37 სრულ კვირაზე ნაკლები (259 დღეზე ნაკლები) ორსულობის პერიოდი.

3.9 დროული მშობიარობა

37 სრული კვირიდან 42 სრულ კვირაზე ნაკლები (259-დან 293 დღემდე) ორსულობის პერიოდი.

3.10 ვადაგადაცილებული მშობიარობა

42 სრული კვირა ან მეტი (249 დღე ან მეტი) ორსულობის პერიოდი.

3.11 პერინატალური პერიოდი

პერინატალური პერიოდი მოიცავს 1) ორსულობის პერიოდის ამ დროის ნაყოფის წონა ნორმალურად 500გ-ია), და მთავრდება დაბადებიდან 7 სრული დღის შემდეგ 2) 22 სრული კვირიდან (154 დღე)

3.12 ნეონატალური პერიოდი

ნეონატალური პერიოდი იწყება დაბადებიდან და მთავრდება დაბადებიდან 28 სრული დღის შემდეგ. ნეონატალური სიკვდილიანობა (სიკვდილიანობა ცოცხლადშობილებისა სიცოცხლის პირველი 28 სრული დღის განმავლობაში)

ავადმყოფობათა საპრევენციო კლასიფიკაცია

შეიძლება დაიყოს ადრეულ ნეონატალურ სიკვდილიანობად, რომელსაც ადგილი აქვს სიცოცხლის პირველი შვიდი დღის განმავლობაში, და გვიან ნეონატალურ სიკვდილიანობად, რომელსაც ადგილი აქვს დაბადებიდან შვიდი დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 28 სრული დღისა.

შენიშვნები განმარტებისათვის:

- i. ცოცხლად შობილების დაბადების წონა უპირატესად უნდა გაიზომოს არა უგვიანეს სიცოცხლის პირველი საათისა, ვიდრე ადგილი ექნებოდეს პოსტნატალურ მასის შესამჩნევ დაკარგვას. რადგან სტატისტიკური ცხრილები შედგენილია 500 გ-იანი შუალედებით დაბადების წონისათვის, ამიტომ წონის დაფიქსირება შესაბამის ჯგუფებში აღარ ხდება. ფაქტური წონა უნდა აღირიცხოს იმ სიმუსგით, რა სიმუსგითაც ის გაიზომა.
- ii. “მცირე, “ძალიან მცირე” და “უკიდურესად მცირე” დაბადების წონის განმარტებები არ წარმოადგენენ ერთდროულად ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიებს. ისინი არიან ურთიერთ შემაჯავლი და გადამფარავი (ე.ი. “მცირე” მოიცავს “ძალიან მცირეს” და “უკიდურესად მცირეს,” მაშინ როდესაც “ძალიან მცირე” მოიცავს “უკიდურესად მცირეს”)
- iii. ორსულობის ვადა ხშირად არის გაუგებრობის მიზეზი, როდესაც გამოთვლები ემყარება მენსტრუაციის თარიღს. ორსულობის ვადის გამოთვლის მიზნით უკანასკნელი ნორმალური მენსტრუაციის პირველი დღიდან და მშობიარობის მიღების თარიღამდე, უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ პირველი დღე არის ნულოვანი დღე და არა ერთი დღე; აქედან გამომდინარე, იგულისხმება, რომ 0-6 დღეები შეესაბამება “ნულოვან კვირას” და მე-40 კვირა არის შესაგვეისი “39 სრული კვირისა.” როდესაც უკანასკნელი მენსტრუაციის თარიღის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ორსულობის ვადის დადგენა ეფუძნება საუკეთესო კლინიკურ გამოკვლევებს. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომები, ცხრილი უნდა ასახავდეს ორივეს: კვირებსაც და დღეებსაც.
- iv. სიკვდილის თარიღი სიცოცხლის პირველი დღის განმავლობაში (ნულოვანი დღე) უნდა იქნეს გადმოცემული წუთებში ან საათებში. მეორე (პირველი დღე), მესამე (მეორე დღე) და სიცოცხლის 27 სრული დღის ჩათვლით, სიკვდილის თარიღი გადმოიცემა დღეებში.

4. დედის სიკვდილიანობასთან დაკავშირებული განმარტებები

4.1 დედის სიკვდილი

დედის სიკვდილი არის სიკვდილი ქალისა, ორსულობისას ან მისი დასასრულის შემდეგ 42 დღის განმავლობაში, მიუხედავად ორსულობის ხანგრძლივობისა და მდგომარეობისა, გამოწვეული ნებისმიერი მიზეზით, რომელიც ამჟამად ორსულობას და მის მიმდინარეობას, მაგრამ არ არის დაკავშირებული უბედურ შემთხვევებთან.

4.2 დედის მოგვიანებითი სიკვდილი

დედის მოგვიანებითი სიკვდილი არის სიკვდილი ქალისა პირდაპირი ან არაპირდაპირი სამედიცინო მიზეზებით ორსულობის დასასრულიდან 42 დღის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ერთი წლისა.

4.3 ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილი

ორსულობასთან დაკავშირებული სიკვდილი არის სიკვდილი ქალისა, ორსულობის ან მისი დასასრულიდან 42 დღის განმავლობაში, სიკვდილის გამომწვევი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად.

დედის სიკვდილიანობა იყოფა ორ ჯგუფად:

4.4 პირდაპირი სამედიცინო სიკვდილი

პირდაპირი სამედიცინო სიკვდილი არის შედეგი ორსულობის სტატუსის (ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი პერიოდი), სამედიცინო გართულებისა, რომელიც გამოწვეულია არასწორი მკურნალობით, ან მოვლენათა ისეთი ჯაჭვით, რომელსაც მიეყვანათ ყველა შემთხვევითი შედეგამდე.

4.5 არაპირდაპირი სამედიცინო სიკვდილი

არაპირდაპირი სამედიცინო სიკვდილი არის შედეგი მანამდე არსებული დაავადებისა ან დაავადებისა, რომელიც განვითარდა ორსულობის პერიოდში და არ არის დაკავშირებული უშუალოდ სამედიცინო მიზეზებთან, მაგრამ დამძიმდა ორსულობის ფსიქოლოგიური ზემოქმედებით.